



№ 1გ/945-17



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

14 ივლისი 2017 წელი  
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი მიროტაძემ  
გიორგი კვახაძის მდივნობით,

პროკურორ - გელა მალრაძის,  
ბრალდებულ - თ. თ.-ს მონაწილეობით,

ზეპირი მოსმენით, ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ბრალდებულ თ. თ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს (პატიმრობის უზრუნველყოფით) გამოყენების შესახებ, ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის 2017 წლის 05 ივლისის განჩინებაზე, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ გელა მალრაძის საჩივარი და

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

საქართველოს შსს ასპინძის რაიონული სამმართველოს წარმომავალი სისხლის სამართლის №014020717001 საქმე თ. თ.-ს მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე.

თ. გ.-ს ძე თ.-ს (დაბ.: 19XX წლის XX სექტემბერს, პ/ნ XXXXXXXXXXXXX) 2017 წლის 04 ივლისს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით - ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობისათვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნული გამოიხატა მასში, რომ 2017 წლის 02 ივლისს, დაახლოებით 11:00 საათზე, ა.-ს მუნიციპალიტეტის სოფელ თ.-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, თ. თ.-მ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს - მ. თ.-ს, რა დროსაც მან რამოდენიმეჯერ დაარტყა ხელები და ფეხები თავის არეში და სხეულის სხვადასხვა ადგილებში, ხოლო შემდეგ როდესაც მ. თ.-მ სცადა გაქცევა, სახლიდან ეზოში გასულს მას თ. თ.-მ მუშტი დაარტყა თვალების არეში და



რამოდენიმეჯერ ჩაარტყა პოლიეთილენის მილი თავში. აღნიშნულის შედეგად, მ. თ.-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

აღნიშნულ საქმეზე, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გელა მალრაძემ, 2017 წლის 04 ივლისს, შუამდგომლობით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს ბრალდებულ თ. თ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების მოთხოვნით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის 2017 წლის 05 ივლისის განჩინებით ბრალდებულ თ. თ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, საპატიმრო უზრუნველყოფით, ხოლო გირაოს შეტანის ვადა განისაზღვრა 30 (ოცდაათი) დღით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობისა და შესაძლო მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გამოყენება სრულად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გელა მალრაძემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების შეცვლას და ბრალდებულ თ. თ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენებას.

საჩივარში მითითებულია, რომ ბრალდებულ თ. თ.-ს მიერ ჩადენილია ძალადობრივი ხასიათის განზრახი დანაშაული - ოჯახში ძალადობა მისივე ოჯახის წევრის მიმართ, შესაბამისად, მისი ქმედების და ინტენსივობის გათვალისწინებით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი აუცილებლად ჩაიდენს ახალ, ანალოგიური ხასიათის განზრახ დანაშაულს. ამასთან, მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გამო არსებობს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში იგი მიიმალება. ასევე, ზემოქმედებას მოახდენს, როგორც დაზარალებულზე, ისე მოწმეებზე, რომლებიც მისი ოჯახის წევრები და ახლობლები არიან. საჩივარში ასევე მითითებულია, რომ ბრალდებული არის უმუშევარი, ოჯახი მის კმაყოფაზე არ იმყოფება და გააჩნია შესაბამისი უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში შეგნებულად რეგისტრირებული არ აქვს, რომლის გათვალისწინებითაც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს გირაო 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

საჩივრის განხილვის დროს პროკურორმა გელა მალრაძემ მხარი დაუჭირა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების მოთხოვნას საჩივარში მითითებული საფუძველებით და დამატებით განმარტა, რომ გირაოს ოდენობის მოთხოვნისას ეყრდნობა ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას, რომლის ოჯახსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო და სათიბი მიწები და საცხოვრებელი სახლი. ამასთან, გასათვალისწინებელია დაზარალებულის პოზიცია და ბრალდებულის პიროვნება, ის, რომ არსებობს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რადგან როგორც დგინდება ძალადობას მეუღლის მიმართ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, ასევე არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების რისკი და მიმალვის საფრთხე მოსალოდნელი სასჯელიდან გამომდინარე.



ბრალდებულმა თ. თ.-მ განმარტა, რომ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, შემთხვევის დროს იყო ნასვამი, ნასვამ მდგომარეობაში უჭირს თავის გაკონტროლება, წარსულში მეუღლესთან ქონია კამათი, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში პირველად აღმოჩნდა. საცხოვრებელი სახლი ჩადებული აქვს ოჯახს ბანკში, კრედიტები არის მეუღლის სახელზე, ფლობს დაახლოებით 6-7 ჰექტარ მიწას, რომელიც არ არის რეგისტრირებული მის სახელზე. არ აქვს საშუალება გადაიხადოს არც მოთხოვნილი გირაოს თანხა და არც სასამართლოს მიერ დაკისრებული 10 000 (ათი ათასი) ლარი, შეუძლია გადაიხადოს გირაო 5000 (ხუთი ათას) ლარამდე. სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, ვინაიდან არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა, არ ჰყავს ადვოკატი, თუმცა აქვს სურვილი, რომ ჰყავდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი, მოისმინა ბრალდებისა და დაცვის მხარის (ბრალდებულის) განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გაანალიზა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაოს გაუქმებისა და პატიმრობის შეფარდების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-206-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

განჩინების გაცემისას სასამართლომ გამოიკვლია (განიხილა) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, როგორც ფორმალურ, ასევე ფაქტობრივ საფუძველთა არსებობა.

სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ თ. თ.-ს დაკავებისას, ბრალდებულად ცნობისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას საქმის მასალებით არ დასტურდება. აღნიშნული სადავოდ არც დაცვის მხარეს (ბრალდებულს) არ გაუხდია. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია მტკიცებულებათა (ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მასალების) საკმარისობის საკითხი და მიიჩნია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულ თ. თ.-ს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს ბრალად წარდგენილი ქმედება.

საკითხის განხილვისას, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს, როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძველი. ფაქტობრივი საფუძვლის სტანდარტი არის საქმის მასალებიდან გამომდინარე დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ დანაშაული შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს ბრალდებულს.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველს, საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ იმისათვის, რათა სახეზე იყოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფორმალური საფუძველი, ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს ბრალდებულის მიმალვის, სასამართლოში არ გამოცხადების, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციას განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი, რადგანაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სწორედ ზემოაღნიშნულიდან ერთ-ერთი საფრთხის არსებობა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ სახეზე არ არის არცერთი ზემოთ აღნიშნული კომპონენტი, პირს არ უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.



მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების გაანალიზების შედეგად, საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმ ნაწილში, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა (მ. თ.-ს განცხადების დანაშაულის ჩადენის შესახებ, დადგენილების დაზარალებულად ცნობის შესახებ, მ. თ.-ს მოწმისა და დაზარალებულის სახით გამოკითხვის ოქმების, ლ. თ.-ს, ი. გ.-ს, ა. ზ.-ს გამოკითხვის ოქმების, ბრალდებულ თ. თ.-ს აღიარების, მ. თ.-ს მიმართ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის 2017 წლის 04 ივლისის დასკვნის, თ. თ.-ს და მ. თ.-ს ქორწინების მოწმობის, ბრალდებულ თ. თ.-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ოქმის, ფოტოცხრილით) ერთობლიობა იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ შესაძლებელია ბრალდებულ თ. თ.-ს ჩადენილი ჰქონდეს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული. დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლებიდან.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელ ფორმალურ საფუძველთან მიმართებაში კი საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ ბრალად წარდგენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ხასიათის, ბრალდებულის პიროვნებისა და ბრალდებულის დაზარალებულთან და მოწმებთან ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით არსებობს ბრალდებულ თ. თ.-ს მიერ ახალი, ანალოგიური დანაშაულის ჩადენისა და დაზარალებულსა და მოწმეებზე ზემოქმედების მოხდენის გზით გამოძიებისათვის მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის რისკები. რაც შეეხება, მიმალვის საფრთხეზე მითითება, რაზედაც ასევე აპელირებს ბრალდების მხარე მოსალოდნელი სასჯელიდან გამომდინარე დაუსაბუთებელია.

მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი, როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძველი, რომელთა შემოწმების შემდეგაც, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური.

საკითხის განხილვისას, საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ქმედების ხასიათი, მოსალოდნელი სასჯელის ზომა თუ (ბრალდების მხარის მიერ მითითებული) სხვა გარემოებები, ცალ-ცალკე არ არის გადაწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას. არამედ აღნიშნული, ბრალდებულის პიროვნების, მისი წარსულის, დანაშაულის სიმძიმის, მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხისა და საქმის სხვა არსებით გარემოებებთან ერთად, ერთობლიობაში უნდა იქნას შეფასებული და მხედველობაში





მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე.

რაც შეეხება გირაოს თანხის ოდენობას, რაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს გასაჩივრების საგანს, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამდენად, კანონმდებელმა ცალსახად დაადგინა, რომ მხოლოდ ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობები ან მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გირაოს ოდენობას და გირაოს ოდენობის განსაზღვრისას ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობები და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე ერთობლიობაში უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილი ასევე მიუთითებს პროკურორის ვალდებულებაზე სასამართლოში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის დროს მიუთითოს გირაოს თანხის ოდენობასა და მისი შეტანის ვადაზე. გირაოს ოდენობის მოთხოვნა კი უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა, პროკურორმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მოთხოვნილი გირაოს თანხის ბრალდებულის მიერ გადახდის რეალურ შესაძლებლობას, მით უფრო მაშინ, როდესაც ბრალდებული აცხადებს, რომ საცხოვრებელი სახლი ოჯახს ბანკში აქვს ჩადებული კრედიტების უზრუნველსაყოფად და არ გააჩნია გირაოს გადახდის შესაძლებლობა. კანონმდებლის ზემოხსენებული მოთხოვნა განპირობებულია იმით, რათა გამოირიცხოს ე.წ. „შეფარული პატიმრობა“ და გირაოს ოდენობა პროკურორის მიერ მოთხოვნილი იქნას სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, ბრალდებულის რეალური ქონებრივი შესაძლებლობებისა და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ გირაოს დადგენილი ოდენობა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გონივრული იმისათვის, რათა ბრალდებულს (ან მისი სახელით სხვა პირს) შეეძლოს გირაოს თანხის გადახდა ან უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში გირაოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით მოთხოვნა/დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ვინაიდან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს თანხის გადახდას და ამით, ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.

საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს იმასაც, რომ პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება განხილული უნდა იქნას ერთი მხრივ უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, მათ შორის, საგამოძიებო კოლეგიის განმარტებით გირაოს გამოყენების დროს ფინანსური თვალსაზრისით შედარებით მცირე ოდენობას, თუ იგი სრულად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებას.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ითვალისწინებს ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათს, ბრალდებულის პიროვნებას და მის დაზარალებულთან და მოწმებთან



ურთიერთდამოკიდებულებას და მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე მაღალი ხარისხით არსებობს ბრალდებულ **თ. თ.-ს** მიერ ახალი დანაშაულის ჩადენისა და მოწმეებზე ზემოქმედების მოხდენის გზით გამოძიებისათვის მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხეები. ამავდროულად, საგამოძიებო კოლეგია ითვალისწინებს მოსალოდნელი სასჯელის ზომას (სასჯელის სახით მოსალოდნელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე), რაც ამ შემთხვევაში არ არის რელევანტური ფაქტორი მიმალვის საფრთხის შესაფასებლად. ამასთან, ბრალდებული აღიარებს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას, წარსულში არ არის ნასამართლევნი, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არის დასაქმებული სოფლის მეურნეობაში, ჰყავს 6 შვილი, რომელთაგან ერთი არის 15 წლის არასრულწლოვანი და მეორე მცირეწლოვანი 8 წლის, რომლებიც ბრალდებულთან ერთად ცხოვრობენ ერთ ოჯახად.

საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ ბრალდების მხარის განცხადება, რომ ბრალდებულს გააჩნია უძრავი ქონება არ არის დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, არ არის წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი ან თუნდაც მოწმეთა გამოკითხვის ოქმები თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით, ბრალდების მხარე ვერ ასაბუთებს, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ დადგენილი 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება ბრალდებულის სათანადო ქცევას და რატომ არის მიზანშეწონილი გირაოს აუცილებლად 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით დადგენა. მითუმეტეს, რომ **გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული და მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეული იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმა ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს რატომ არის კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების (ამ შემთხვევაში მოთხოვნილი ოდენობით გირაოს) გამოყენება საჭირო და რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა (თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით) ნაკლებად მკაცრი შეზღუდვის პირობებში.**

შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას **ბრალდებულ თ. თ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს (პატიმრობის უზრუნველყოფით) გამოყენების თაობაზე და მიაჩნია, რომ გირაოს თანხის გაზრდის მოთხოვნით პროკურორის საჩივარი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. რაც შეეხება, ბრალდებულის განცხადებიდან გამომდინარე იმ გარემოებას, რომ მას რეალურად არ შეუძლია დადგენილი ოდენობით გირაოს გადახდა, ამ ეტაპზე საგამოძიებო კოლეგია ვერ იმსჯელებს გირაოს თანხის ოდენობის შემცირებაზე, ვინაიდან განჩინება, თუნდაც თანხის ოდენობის ნაწილში ბრალდებულს არ გაუსაჩივრებია და ამასთან, კოლეგია მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე, მე-200, 207-ე მუხლებით და



**და ვ ა დ გ ი ნ ე :**

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ გელა მაღრაძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ბრალდებულ თ. თ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს (პატიმრობის უზრუნველყოფით) გამოყენების შესახებ, ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის 2017 წლის 05 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირობებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე**  
**გიორგი მიროტაძე**